

**“აგარაკი-მუნიციპალიტეტის” ფენომენის წარმოჩენა, რეგიონების
განვითარების კონტექსტში**

ასლან ართმელაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ტანგიაშვილი
მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ასლან ართმელაძე

თბილისი, 22 იანვარი, 2019

სარჩევი

აბსტრაქტი.....	4
შესავალი	6
თავი 1: რეგიონი და რეგიონული განვითარება	16
რეგიონული განვითარების გამოწვევები.....	17
1.1.1 რეგიონების ტიპოლოგია	18
1.1.2 ცენტრიდან მართული რეგიონები.....	19
1.1.3 რეგიონების განვითარების პრობლემები.....	20
1.2. რეგიონული განვითარების ხელშემწყობი მეთოდები	22
1.2.1. სასოფლო ტერიტორიების როლი ნეილ ვარდის მიხედვით.....	23
1.2.2 ანტონი კუკლინსკის რეგიონების განვითარების 4 ძირითადი ფაქტორი	24
1.2.3 ქვემოდან ზემოთ მიდგომა [Bottom Up Model].....	25
1.2.4 რეგიონების ენდოგენური განვითარება.....	27
1.3 რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელების წარმატებული მაგალითები.....	28
1.3.1 ბალიჰურას რეგიონი [ირლანდია]	28
1.3.2 ქვემო სილეზიის რეგიონი [პოლონეთი].....	30
თავი 2. რა არის აგარაკი-მუნიციპალიტეტი?	31
2.1 მსგავსი გამოცდილებები	34
2.1.1. კურორტ-მუნიციპალიტეტი [Resort Municipality]	34
2.1.2. მეორე სახლის ფლობის ფენომენი [Second home ownership]	36
2.1.3. ქალაქი-რეგიონი [City-Region].....	38
2.1.4. სატელიტი ქალაქები [Satellite City]	40
თავი 3: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესები	41
3.1 ჩატარებული კვლევის ანალიზი	42
3.2 საჯარო სტრუქტურებიდან გამოთხოვილი ემპირიული მონაცემების ანალიზი.....	48
დასკვნა	53
რეკომენდაციები.....	55
ბიბლიოგრაფია	57
დანართი #1	61
დანართი #2.....	63

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება, “აგარაკი-მუნიციპალიტეტის” ფენომენის წარმოჩენას და მისი როლის განსაზღვრის მცდელობას, რეგიონული და ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავების, დაგეგმვის და განხორციელების პროცესში. ნაშრომში მოყვანილია რეგიონული განვითარების წარმატებული მაგალითები ევროპის მასშტაბით, რომელიც მნიშვნელოვანია მომავალ რეგიონულ პოლიტიკის განსაზღვრის დროს. აგრეთვე, რეგიონული პოლიტიკის ინსტიტუციური მექანიზმები, რომელიც ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის მასშტაბით არსებობს.

გამომდინარე ზემო აღნიშნული საკითხებიდან, ნაშრომის საკვლევ კითხვას წარმოადგენ ტერმინ “აგარაკი-მუნიციპალიტეტის” ფენომენის წარმოჩენა და განსაზღვრება, ქართულ ადგილობრივ და მუნიციპალურ განვითარების პროცესებში შემდგომი დამკვირვების მიზნით. ნაშრომის ფარგლებში შემუშავდა “აგარაკი-მუნიციპალიტეტის” განსამზღვრელი 6 [ექვსი] ინდიკატორი. შემუშავების პროცესის დროს გამოყენებულია ჩატარებული კვლევის ანალიზი, აგრეთვე გამოთხოვილი ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებიდან.

მოპოვებული ემპირიულ მასალებზე და უცხოურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა “აგარაკი-მუნიციპალიტეტის” განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ნიშნები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის თბილისთან მიმართებაში ადგილობრივ განვითარების საკითხების ირგვლივ. წარმოდგენილი ნაშრომის საფუძველზე, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მნიშვნელოვანი საკითხებს “აგარაკ-მუნიციპალიტეტ”-თან მიმართებაში.

Abstract

This master research is dedicated to introduce phenomena of “Dacha-Municipality”, to determine its role in frame of processing, planning and implementation of local and regional development. Furthermore, in research is brought best practices of regional development from Europe which is very important to determine regional political development in Georgia. Also, research contains institutional mechanisms of regional development from Europe and North America.

Due to above mentioned issues, research question is to define phenomena of “Dacha-Municipality in context of Georgian local and municipal development. In frame of research was created 6 [six] indicators defining phenomena of “Dacha-Municipality” and were used analysis of research and information from public institutions.